საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები
2019
III კვარტალი

04.12.2019

www.geostat.ge

04.12.2019

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2019 წლის III კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.0 პროცენტით გაიზარდა და 29.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის III კვარტალში მისი მოცულობა 12.8 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 19.8 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2019 წლის III კვარტალში მთლიანი ბრუნვის 51.9 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.9 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 28.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 38.2 პროცენტი, საშუალოზე - 23.7 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 38.1 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წლის III კვარტალში 18.3 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.0 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 10.4 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.9 პროცენტით მეტი).

2019 წლის III კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 696.0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.6 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.9 პროცენტი ქალია, ხოლო 59.1 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.3 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.2 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41.5 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 652.2 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3.9 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 632.6 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.9 პროცენტით მეტი).

2019 წლის III კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 316.2 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 129.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 979.8 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 87.2 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 281.1 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 463.6 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 260.2 ლარი.

2019 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.5 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 24.1 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.5 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8.8 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.6 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.5 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 11.1 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2019 წელი III კვარტალი



2019 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.5 პროცენტი) და მშენებლობა (20.8 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (16.9 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.2 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.6 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2019 წელი III კვარტალი



2019 წლის III კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.2 პროცენტი, 12.9 პროცენტი და 10.3 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების (10.3 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.8 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2019 წლის III კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2018 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	21 829.4	29 038.8	133.0
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	102.0	103.0	100.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	193.8	209.9	108.3
დამამუშავებელი მრეწველობა	2 332.2	2 748.0	117.8
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	714.9	730.0	102.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	71.9	80.4	111.8
მშენებლობა	1 873.5	2 546.1	135.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	9 610.2	11 179.7	116.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 408.9	1 623.3	115.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	531.2	605.5	114.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	268.6	304.9	113.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	262.5	300.6	114.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	434.6	499.2	114.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	315.2	387.6	123.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	369.4	472.2	127.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	388.9	462.3	118.9
განათლება	72.2	79.0	109.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	251.7	270.9	107.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	3 120.1	7 000.1	224.4
სხვა სახის მომსახურება	38.6	41.7	108.2

04.12.2019

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2019 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2018 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	10 652.2	12 762.8	119.8
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	104.0	108.1	103.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	194.4	210.5	108.3
დამამუშავებელი მრეწველობა	2 280.6	2 748.2	120.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	383.8	386.6	100.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	80.2	89.0	110.9
მშენებლობა	2 059.7	2 656.8	129.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1 809.8	2 155.2	119.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 062.2	1 173.8	110.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	532.7	603.7	113.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	270.4	304.5	112.6
საკვებით და სასმელებით მომსახურება	262.4	299.2	114.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	383.1	462.2	120.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	315.8	388.3	123.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	310.2	400.8	129.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	258.2	306.4	118.7
განათლება	79.5	87.6	110.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	418.8	469.9	112.2
ხელოვნება, გართობა და დასვენება	341.7	474.3	138.8
სხვა სახის მომსახურება	37.5	41.3	109.9

04.12.2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2018 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის III კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	665 466	695 994	104.6
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 686	11 877	101.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 943	8 484	94.9
დამამუშავებელი მრეწველობა	88 214	89 682	101.7
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14 782	15 153	102.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 123	14 276	101.1
მშენებლობა	71 365	71 955	100.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	170 934	182 636	106.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	53 852	56 378	104.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37 371	40 550	108.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	15 095	16 492	109.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	22 277	24 058	108.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21 379	23 722	111.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 105	20 083	110.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21 940	24 471	111.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23 227	23 883	102.8
განათლება	16 435	16 733	101.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	68 878	71 398	103.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	15 974	16 213	101.5
სხვა სახის მომსახურება	8 258	8 500	102.9

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 75.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.4 პროცენტი,
- იმერეთი – 4.1 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 64.2 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.1 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.8 პროცენტი,
- იმერეთი – 5.9 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.7 პროცენტი,
- იმერეთი – 6.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	**„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“**
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge